# სახალხო გაზეთი

№ 127 შაბათი, 9 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელი არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დ დ წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. № 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 7.

კვირას, 10 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგად. ასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა:

## „გამხმარი ფოთოლი“

დრამა 4 მოქმედებად, ნ. შიუკაშვილისა.

ამ პიესის 2 და 3-მე მოქმედებისათვის დახატულია ახალი დეკორაცია.

მონაწილეობენ ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., პიერეტა ა., ქილარჯიშვილი მ., ბ-ნნი. ალექსი-მესხიშვილი ვლ., არადელი გ., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი. და შალიკაშვილი ვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება. რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „ნიშანი ყოფა-ქცევაში“, პიესა 4 მოქმ. „ღრი გნება“, „მირ ეფროხი“, „სიყვარულის კომედია“ და სხვ.

## სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა

შაბათს, 9 ოქტომბერს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ ბ-ნ გამყრელიძის და ... მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## ყაჩაღები

ტრ. 5 მოქ. 8 სურათად შილლერისა თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი დეკანოზიშვილისა, ბ-ნნი ალუღიშვილი, ბაქრაძე, გამყრელიძე, გოცირიძე, ზურაბიშ—ლი, მეტრეველი, ნარი, ჯავაყრელი და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

გამგეობა სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების თეატრში შესვლა და ფარდის აწევის შემდეგ თეატრში შესვლა აღკრძალულია. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში დღითი 12-ნ 2-ის და 6-დან საღ. 8 ს.-დე.

რეჟისორი: კ. შათირიშვილი.

## სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა

კვირას, 10 ოქტომბერს, დილის 1 საათზე, გაიმართება

◀ პირველად კავკასიაში ▶

## მანდოლინისტთა კონკურსი.

კარგი დაკვრისათვის მიეცემათ ოქროსა და ვერცხლის ჟეტონები. მონაწილეობას ღებულობენ ტფილისის საუკეთესო ძალები.

კარგი დაკვრის გამოსარჩევად მოწვეულნი არიან ბ. რატილი, ფალიაშვილი, აგახოვი, ვინჩენკო, მაქსიმოვი, დელაროსი და პრესმანი.

კონკურსის წინ ბ. მაქსიმოვი წაიკითხავს ● ლექციას ● მუსიკის შესახებ. კონკურსის შემდეგ გაიმართება

კონცერტი-დივერტისმენტი

დასაწყისი 1 საათზე. ფასები შაურიდან ათ შაურამდე. (2—129—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სათასორიო. (200—ნ.—295)

## ჰაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მიროვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—458)

## „სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

## მოვაგონებთ

წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Болшая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

## ბიურო

რომელსაც შეადგენენ გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „საქმე“, „ზაკავკაზია“, „ნოვაიარეჩი“ და ჟურნალები „მათრახი და სალამური“, „ერი“ და „თეატრი და ცხოვრება“, ჰყავს შემდეგი აგენტები:

| | |
|---|---|
| გორში—მ. არჩვაძე. | ფოთში—ს. ორაგველიძე. |
| მიხაილოვში—ს. ბატმანოვი. | ბათუმში—გ. მახარაძე. |
| ყვირილაში—ი. გაჩეჩილაძე. | თელავში—ონიკაშვილი. |
| ჭიათურაში—ებანოიძე. | სიღნაღში—ხატიევი. |
| ქუთაისში—ის. კვიცარიძე. | ბაქოში—ნ. აბაშიძე. |
| სამტრედიაში—ი. ურუშაძე. | სოხუმში—ნ. ჯანაშია და |
| ლანჩხუთში—მატიტაშვილი. | ერევანში—ა. მესანოვი. |

## საჭიროა აგენტი

ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში, ალექსანდროპოლში, ჩოხატაურში, ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში, ნუხაში, შემახაში, ვლადიკავკაზში, არმავირში, დონ.-როსტოვში, ჯულფაში და დარუბანდში!

აგენტობის მსურველებმა ენდა მიმართონ ბიუროს გამგეს ერასტი დავითის ძეს გორდელაძეს ამ ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь, д. ... Гордеʼ деладзе.

## სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილისა

კვირას, 10 ოქტომბერს, ვაჟთა მე-2 გიმნაზიის მასწავლებელი

## ვ. თ. კრონოვიჩი

წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე:

## „აღმოსავლეთის სიბრძნე“

1) ფილოსოფიის განმარტება. 2) საგანი (და მიზანი ფილოსოფიის ისტორიისა. 3) აღმოსავლეთის ფილოსოფია 4) ლაო-ძი 5) კონგ-ფუ-ძი 6) მეშ-ტუ-ძი 7) ებრაული ფილოსოფია 8) ეგვიპტელთა ფილოსოფია.

ლექციის შემდეგ უფასო კონცერტი.

მონაწილეობენ: ქ-ნი ლევიცკი და ქ-ნი ჩარსკი, ბ.ბ.—გრებესკი, ღვინიაშვილი და სხ. ლექციის დასაწყისი ზუსტად დილის 11 საათზე. ● ადგილების ფასი—5 კ.—10 კ.-დე. ბილეთები იყიდება 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. (2—უ—1)

## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## დიდ ძალი

◀ ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, ▶

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N 24—25. (50—57—8)

კვირას, 10 ოქტომბერს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს

◀ გაიმართება 9 საინტერესო კავკასიური ▶



## ჭიდაობა

◀ ყმაწვილების მზრუნველთა საზოგადოების სასარგებლოდ ▶

იჭიდავებენ: 1. კულა გლდანელი და თედო ლილოელი. ავალიშვილი ლილოელის გამოთხოვნით. გადაწყვეტილი ჭიდაობა 2. მიხაკა გურჩული და ვასო ცალქალამანიძე 3. შაშუა ვერელი დაყასაბი განუა 3. თედო კაკაშვილიდა გიორგი წიკლაური მთიული 5. ალექსანდრე ნაზალოვკელი და ვლადიმერ მირიმანოვი 6. მესხელი და ტატო მიდელაური 7. ვახტანგა ცხინვალელი და სერგო ჯაფარიძე. 8. ისაკა მთიული და მამედ-ამინ ჩაგალოვი 9. გიორგი თელაველი და ვანო გარეჯელი.

გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.

ანონსი: კვირას 17 ოქტომბერს, შაშუა ვერელი ითხოვს გიოჰკი ჯიბგირს.

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი

დასაწყისი საღამოს 4 საათზე. ადმინისტრაცია. (2—130—2)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—231)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ვ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—47)

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავათმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—6)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—6.—60)

**ექიმი** მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში.

იღებს შინაგან და ღედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—9—18)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოვ.

ვხუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვეხელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—6 ს.

მიკირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—6 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 11—12 ს. დილ.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—4)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა ვის ქუჩ. იღებს ... იზმაილოვზე N 2. ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.


## ტფილისი, 9 ოქტომბერი

**პროექტი საბატონო მიწების გამოსყიდვისა.**

განვლილ საუკუნის მესამოცე წლებში საქართველოს თავად-აზნაურობისა და რუსეთის უმაღლეს მთავრობის შუა უთანხმოება გაჩნდა იმ პირობების შესახებ, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო ჩვენში საგლეხო რეფორმა. თავად-აზნაურობა ბეჯითად სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობა შეერჩინა თავის ყმებზე, მთავრობას კი ცოტა უხერხულად მიაჩნდა ქართველი თავად-აზნაურობა ამ მხრივ რუსეთის ძირითად თავად-აზნაურობაზე უკეთეს მდგომარეობაში ჩაეყენებინა. საქართველოს თავად-აზნაურობა სხვათა შორის, თხოულობდა გლეხთა განთავისუფლებას ბატონ-ყმობისაგან უშიწოდ, მებატონეებისათვის გლეხთაშენობებისა და მოძრავ-ქონებისა და იმ მიწების დასაკუთრებას, რომლებიც გლეხებს შეძენილი ჰქონდათ ბატონ-ყმობის დროს და გარდა ამისა საგანგებო სასყიდელს ყმათა პირად დამოკიდებულების მოსპობისათვის. რა თქმა უნდა, ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო ერთის მხრივ იმიტომ, რომ ეს პირდაპირ და აშკარად ეწინააღმდეგება რეფორმის ძირითად საფუძვლებს, მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა ყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხებს. მთავრობა იძულებული შეიქმნა გლეხთა ინტერესების მოსარჩლედ გამოსულიყო და საქართველოს თავად-აზნაურთა უზომო მადა შეემოკლებინა.

ამისდა მიუხედავად, როგორც ვიცით, საგლეხო რეფორმა მაინც ისეთ პირობებში მოხდა, რომ ბატონ-ყმური დამოკიდებულება გლეხებისა თავად-აზნაურთაგან ნამდვილად დღესაც კიდევ არსებობს. ეხლა, ნახევარ საუკუნის შემდეგ, ისტორიული აუცილებლობა აიძულებს კავკასიის მთავრობას ხელმეორედ დაუბრუნდეს ამავ საგლეხო რეფორმას და როგორმე ბოლომდე მიიყვანოს 46 წლის წინად დაწყებული ლიკვიდაცია ბატონ-ყმობისა. საინტერესოა, რომ მთავრობა და თავად-აზნაურობა დღესაც ამ საკითხის შესახებ სხვა და სხვა მხრივ იწვევენ და წინანდელივით გლეხთა ინტერესების დამცველობა მთავრობას უხდება. აზრთა სხვა და სხვაობა დროებით ვალდებულ გლეხების განთავისუფლების საქმეში ეხლა უმთავრესად სამ შემდეგს საგანს შეეხება: რომელი მიწებზე უნდა გავრცელდეს განზრახული რეფორმა, როგორ უნდა შეფასდეს ეს მიწა და როგორ უნდა გადასწყდეს საძოვრებისა და ტყის სერვიტუტი.

კავკასიის ადმინისტრაციის აზრით, რაც ეხლა დროებით ვალდებულ გლეხთა მფლობელობაში სანადელო მიწაა, სულ მთლად უნდა იქმნას გამოსყიდული მემამულეებისაგან. თავად-აზნაურობას კი ეს ფორმულა არ მოსწონს და თხოულობს, რომ გამოსყიდვა შეეხებოდეს მარტოოდენ „უსტავნი გრამოტებში“ მოხსენებულ ნადელს ... ციფრები გვიჩვენებენ. ტფილისის გუბერნიაში, საადგილ-მამულო გადასახადის გასაწერად შეგროვილის ცნობებით, სანადელო მიწა 115.306 დესეტინას, „უსტავნი გრამოტებით“ კი სულ იყო სანადელო 52.482 დესეტინა, აქედან ნაწილი გლეხებს უკვე გამოსყიდული აქვთ და გამოსასყიდი დარჩენილია 37,358 დესეტინა. მაშასადამე, თავად-აზნაურობა თითქმის ოთხჯერ ნაკლებ გამოსასყიდ მიწას ანგარიშობს, ვიდრე მთავრობა. ანგარიშის ეს განსხვავება იმისი ბრალია, რომ შეცდომა უნდა იყოს ან „უსტავნი გრამოტებში“, ან გადასახადების შესაწერად შეგროვილ ცნობებში. თუ მართალი პირველი გამოდგა, მაშინ თავად-აზნაურობის პროექტით მხოლოდ ქაღალდზე მოისპობა ეხლანდელი ბატონყმური დამოკიდებულება გლეხებისა, ნამდვილად კი თითქმის მიწების სამი მეოთხედი ისევ წინანდელ მდგომარეობაში დარჩება,

უფრო თვალსაჩინო განსხვავებაა მთავრობისა და თავად-აზნაურობის შუა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაფასდეს გამოსასყიდი მიწა. მთავრობის აზრით, სამართლიანობა მოითხოვს გამოსასყიდ ფასად ცნობილ იქმნას ის ფასი, რაც მიწებს 1864 წელს ჰქონდათ, რადგან ამას შემდეგ გლეხებმა იმდენი გადასახადი გადიხადეს მებატონეთა სასარგებლოდ, რომ უკვე რამდენჯერმე გამოისყიდდენ ამ მიწებს, ერთად რომ გაეღოთ ეს გადასახადები. საგულისხმოდ ის გარემოება, რომ რუსეთში გლეხები პირდაპირ გამოსასყიდ გადასახადს იხდიდნენ, ჩვენში კი თუმცა უფრო მეტს იხდიდნენ გლეხები, მაგრამ ეს იყო არა გამოსასყიდი, არამედ სანადელო ანუ საბატონო გადასახადი. რუსეთში 1907 წლიდან უმაღლესის მანიფესტით გლეხებს გამოსაყიდი გადასახადები სრულებით ეპატიათ, საქართველოში კი ეს მანიფესტი არ გავრცელებულა. ამ გვარად რუსეთში 1907 წლისთვის საგლეხო რეფორმა სრულიად დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, ჩვენში კი ეს საქმე იმავ მდგომარეობაშია, რომელშიაც ორმოცის წლის წინად იყო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში გლეხები ყოველწლივ მიწის შემოსავლის ერთ მეოთხედს მებატონეს აძლევენ

თავად-აზნაურობა პირიქით თხოულობს, მიწები გამოსყიდულ იქმნას ეხლანდელ და არა ძველ ფასებში,

რადგან თავად-აზნაურობა მუდამ თავის საკუთრებად სთვლიდა ამ მიწებს და ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ იმის ნამდვილ ფასს მიიღებდა. რამდენად საფუძვლიანია ეს მოთხოვნა, ამის განხილვა თვით თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისთვის მიგვინდვია, რომელთაც თითონვე კარგად იციან, რა აუარებელი გადასახადი გადიხადა ქართველმა გლეხმა იმ მიწაზე, რომელიც მათ ისე ჰსურთ ეხლა მიჰყიდონ მას, თითქოს მყიდველი უცხო ქვეყნიდან მოსულიყოს და არაფერი უფლება არა ჰქონდეს გასასყიდ მიწაზე.

კიდევ უფრო ძნელი გადასაწყვეტია საძოვრებისა და ტყის სერვიტუტის საკითხი. კავკასიის მთავრობას ისე ეშინიან ამ მძიმე საკითხისა, რომ უმჯობესად მიაჩნია, ეს საქმე „ჯერჯერობით“ ისევ ძველ მდგომარეობაში დაარჩინოს, თავად-აზნაურობას კი ძალიან ეჩქარება თავისი მამულები ამ სერვიტუტებისაგან გაანთავისუფლოს და საეჭვო ღირსების ანგარიშით იმ დასკვნამდე მიდის, რომ ტყისა და საძოვრის სერვიტუტის ნაცვლად გლეხებს უნდა მიეზომოთ სამი ან ოთხი დესეტინა ტყე ან საძოვარი ას დესეტინა მამულზე.

ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, რომელიც ჩვენ ხელთ არის, საკმაოდ ნათლად გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს თავად-აზნაურობა ეხლაც ისევ ეგოისტურად უცქერის საგლეხო რეფორმას, როგორც ამ ორმოცის წლის წინად. ესე რა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივია. უბუნებრივო მხოლოდ ის არის, რომ თავად-აზნაურთა იდეოლოგები სცდილობენ ქვეყანას თვალი აუბან და დაარწმუნონ, რომ ისინი ქართველ ხალხის საერთო ინტერესებზე ზრუნავენ და არა კერძოდ თავად-აზნაურობის წოდებრივ და კლასსურ ინტერესებზე.

როგორც ერთ-ერთ წინანდელ წერილში აღვნიშნეთ, კავკასიის ნამესტნიკი სანადელო ანუ საბატონო მიწების გამოსყიდვის პროექტს დამთავრებლად სთვლის და ახლო მომავალში აპირობს წარადგინოს განსახილველად მინისტრთა საბჭოში. რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენად არის დაცული ამ პროექტში გლეხების და რამდენად თავად-აზნაურთა ინტერესები. გადაჭრით ძნელი სათქმელია, მაგრამ რო- [illegible] დელი განზრახვა შეუცვლიათ და პროექტი საბოლოოდ ისე შეუმუშავებიათ, როგორ ამას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი თხოულობდნენ.

# პროვინციალიზმი

წარსული ისტორიული ცხოვრება ყოველთვის შესამჩნევ დაღს ასვამს ხოლმე ხალხის ცხოვრებას. ისტორიულ მსვლელობაში ვითარდება განსაზღვრული ტიპი ეროვნებათა და სხვა-და-სხვა წარმომადგენლებისა, ისტორიული ცხოვრება ანვითარებს ხალხის განსაზღვრულ პიდრეკილებასა და ზნე ჩვეულებებს. წარსული ყოველთვის ძვალსა და რბილშია გამჯდარია ყველა ჩვენთაგანში, თუმცა არა ყველა ჩვენთაგანი გრძნობს ამასა. ისტორიულ წარსულში ბედმა ჩვენს ხალხს დაქსაქსულობა და დანაწილება არგუნა. მხოლოდ ეგრედ წოდებულ „ოქროს ხანებში“ თუ გაერთიანდებოდა საქართველო და საერთო საეროვნო ცხოვრებას შეუდგებოდა ხოლმე,—სხვა დროს კი იგი ყოველთვის დანაწილებული იყო. პატარ-პატარა სამთავროები ერთავად ერთმანეთს ებრძოდნენ და საბოლოოდ ისევ ერომანეთს მოუღეს ბოლო. ამ გარემოებამ საშინლად განავითარა ჩვენში პროვინციალიზმი. დღესაც კი, მეოცე საუკუნეში, როდესაც ლამის არის დიდი სახელმწიფოების საზღვრებიც კი დაანგრიოს საერთა შორისო მოძრაობამ, ჩვენში ისევ საკმაო დიდის სიძლიერით მუშაობს გამანადგურებელი პროვინციალური გრძნობა. თქმა არ უნდა, დღეს საქართველოს სხვა-და-სხვა პროვინციები ერთ მთელის ნაწილადა გრძნობენ თავს, განუყოფელ და ორგანიულად შედუღებულ ნაწილად. მაგრამ პროვინციალური გრძნობანი მაინც ხშირად იჩენენ ხოლმე თავსა. ქართველ საზოგადოების შეგნებულ ნაწილის ვალდებულებაა მთელის თავის ძალ-ღონით ებრძოლოს ამ უკულმართობას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასტიკი ზომები მიიღოს ხოლმე ამ პროვინციალიზმის მოსასპობად.

დღეს გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ჩვენი ცხოვრე- [illegible] ვინციალიზმის განვითარების შედეგად უნდა ჩაითვალოს. უპირველეს ყოვლისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ლიტერატურულ ენას. ქართულ ენას ბევრი კილოკავი აქვს და მათი ლიტერატურულ ენად გადაქცევა ყოვლად შეუძლებელია. როდესაც ლიტერატურულ ენის შემუშავებაზე ლაპარაკობთ, სახეში უნდა ვიქონიოთ ხოლმე ჩვენი ძველი, კლასიკური ლიტერატურა. ეს ლიტერატურა უნდა გადაიქცეს საფუძვლად ქართულ ლიტერატურულ ენისა და მის ავ-კარგიანობის საზომად. ჩვენი კლასიკური ლიტერატურა კი ქართლში აღმოცენდა; ქართლი უნდა ჩაითვალოს ქართულ კულტურის მატარებლად. მართლაც, თუ უკანასკნელ დროთა მწერლობას თვალს გადავავლებთ, სწორეთ ქართული ენა გადაიქცა საერთოდ ქართულ ლიტერატურულ ენად. ეს ბუნებრივად მოხდა, რადგანაც ქართლი მატარებელი იყო ჩვენი კულტურისა. მიუხედავად ამ ჭეშმარიტებისა, დიდი ნაწილი ჩვენი მწერლებისა პროვინციალურ ჟარგონზე სწერენ და ამით ისედაც დამახინჯებულ ქართულ ლიტერატურულ ენას უფრო ძალიან ამახინჯებენ. ჩვენი მოვალეობაა ამ მოვლენას ვებრძოლოთ. მწერლებიდან პროვინციალური ჟარგონი სცენაზედაც გადასულა, როგორც აღნიშნავს ჩვენი რეცენზენტი. ამ მოვლენას ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ და ყველა იმან, ვინც წარმომადგენების მართვა-გამგეობას ხელმძღვანელობს. არც ერთს რუსულ სცენაზე არ შეუშვებენ ისეთს მსახიობს, რომელიც წმინდა რუსულ ლიტერატურულ ენაზე არა ლაპარაკობს. სცენა კულტურული დაწესებულებაა, და ამიტომ იქაც სასტიკად უნდა იქმნას დაცული ტრადიციები ქართულ კულტურისა. იმერულ ჟარგონით ლაპარაკი იქ, სადაც პიესაში იმერული ტიპია გამოყვანილი, საპატიებელია, თუმცა, ჩვენის წარმოდგენით, ასეთი პიესები ხშირად არ უნდა იდგმებოდეს. სხვა დროს იმერულ ჟარგონით ლაპარაკი კი პირდაპირ შეუწყნარებელი მოვლენაა და ამიტომ დრამატიულმა საზოგადოებამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს ამ სენის თავიდან ასაცდენად.

საერთოდ პროვინციალურ ცხოვრების ზეგავლენანი აუცილებლად უნდა მოისპოს ჩვენს მწერლობაში. ქართული ენა ისედაც დიდს განსაცდელშია და თუ იგი კიდევ პროვინციალურ კილოკავებად, გავრყვენით, სრულიად დამახინჯდება. კარგი იქნება, თუ რომელიმე ჩვენი კულტურული დაწესებულება განსაკუთრებულ კომისიას აირჩევს მცოდნე პირებისაგან და შეიმუშავებს როგორც სტილისტიკურ და ლექსიურს, ისე წმინდა გრამატიკულ ფორმებს ქართული ენისას. ცოტად თუ ბევრად გარკვეული, ყველასათვის სავალდებულო კანონები, ცოტაოდენ სისწორეს მაინც შეიტანენ ქართულ ლიტერატურულ ენაში.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**7 ოქტომბერი.**

**საზღვარ-გარედ**

**ლონდონი.** რეიტერი იუწყება, რომ ბრიტანიის ნოტა სპარსეთის შესახებ გადაჭრით მოითხოვს რომ შესდგეს ადგილობრივ სპარსელ ძალთა ორგანიზაცია, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს ინდოეთის ჯარის რვა ან ექვსი ინგლისელი ოფიცერი ბუშირ-ისპაანის გზის დასაცველად, თუ წესიერება ამ ადგილებში აღდგენილ იქნება სამს თვეში. (?)

**პარიზი.** ოსმალეთის მთავრობამ უარი სთქვა საფრანგეთის პირობათა ერთის ნაწილის მიღებაზე სესხის შესახებ. ჰავასი იუწყება, რომ სესიის გახსნამდე კაბინეტში გამოიცვლება მხოლოდ მიწათ-მოქმედების მინისტრიო.

**ჟენევა.** დედოფალ ელისაბედის მკვლელმა ლუკენიმ თავი ჩამოიხრჩო.

**ბელფორტი.** ზღვაში ჩაუშვეს უდიდესი გემი მთელ ქვეყნიერებაზე „ოლიმპი“, 15.000 ტონისა.

**ნიუ-იორკი.** უელმანი თანამგზავრებითურთ მოვიდა გემ „ტრენტით“.

**ბერლინი.** „დეიჩე-ტაგეს-ცაიტუნგი“ თავისებურად სჯის რუსეთის ხელმწიფის პოტსდამში მოსვლას.

**სენ-ლუი.** გრდონ-ბენეტტას საჩუქრისათვის გაჯიბრებაში მონაწილე გერმანული სფერო „ჰამბურგი“ სამშაბათს, ღამის 11 საათზე 18 000 ფუტის სიმაღლიდან ნიპისიუგის ტბაში ჩამოვარდა. ერთს მფრინავთაგანს ხელი მოსტყდა და გაუწყდა არტერია. სხვა მფრინავნი ნაპირად გავიდნენ.

**ვენა.** უნგრელთა დელეგაციაში ადმირალმა მონტეკუკულიმ წარადგინა თავის პროგრამა გემთ აშენების შესახებ.

**ვენა.** პარიზელი დესპანი ავსტრო-უნგრეთისა კევენხიულერი გარდაიცვალა.

**თეირანი.** მთავრობამ შეიტანა რუსეთის საელჩოში 2000 თუმანი რუსეთის ქვეშევრდომთა ერთის ნაწილის დასაჯილდოვებლად, რომელიც დაზარალდა ამას წინად ჯარსა და ფიდაებს შორის მომხდარ შეტაკების დროს.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაციის საზღვაო კომისიამ მიიღო სიზღვაო ბიუჯეტი 54 მილიონისა და მადლობა გამოუცხადა საზღვაო მინისტრს ქვეყნის საზღვაო ძალთა განვითარების საქმეში საგანგებო ზომების მიღებისათვის.

**სტამბოლი.** სპარსეთის რწმუნებულმა პროტესტი განაცხადა სპარსეთის ტერიტორიაზე მაკიში ოსმალეთი ჯარის გაგზავნის წინააღმდეგ.

ადაბა-ხარპოლის რკინის გზის კონცესიას აძლევენ ანატოლიის კომპანიას. საზღვაო სამინისტროს დროებით განაგებს სამხედრო მინისტრი მახმუდ-შეფქეთი.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ფულის დაცემის ნორმა ასწია 4-დან 5%-მდე.

**ლისაბონი.** ზარაფხანის დირექტორმა, რომელიც ანგარიშების ჩასაბარებლად დაიბარეს, თავი მოიკლა.

**ბერლინი.** „ბერლინერ-ტაგებლატს“ ვენიდან აუწყებენ, რომ არსებობს რუსეთ-ინგლისის საიდუმლო ხელ-შეკრულობა, რომლითაც აიხსნება სპარსეთში განზრახული ინგლისელთა მოქმედება.

**შენიშვნა სააგენტოსი:** სააგენტოს მიერ შეკრებილ ცნობებით, ეს ამბავი ყოველ საფუძველს მოკლებულია.

**ლონდონი.** ლეიმხაუზში ახალის საშუალებით ყოველ თვიურად ხაზევარ გრამ რადიუმს ამზადებენ. ორი თვის განმავლობაში იმაზე მეტი დაამზადეს, რამდენის დამზადებასაც სამზღვარ გარეთ ორ წელიწადს მოუნდებოდნენ.

## რ უ ს ე თ ი

**სარატოვი.** შეიარაღებულთა ჯგუფის ბრბო ვოლის მაზრაში თავს დაეცა მემამულე სენატოვს, რომელიც დასჭრეს და გაძარცვეს.

**მოსკოვი.** დილით მურომცევის გვამი უნივერსიტეტის ეკლესიაში მიასვენეს. გასვენების დროს, მაიაზიები დაკეტეს. მწირველი მოჟაისკის ეპისკოპოსი იყო.

**პეტერბურგი.** კამჩატკის ოლქში ამერიკელებმა იყიდეს ირმები და ძაღლები. მათ ალიარსკში ნომაზე სურთ გააშენონ პირუტყვთა მოსაშენებელი სადგური. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ამ საქმის ადგილობრივ შესასწავლად, ნომაში გაგზავნა კამჩატკის საბეითალო ინსპექტორი.

**მოსკოვი.** საღამოს 6 საათზე მურომცევი სასაფლაოზე მიასვენეს. დიდძალი ხალხი მისდევდა. სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს.

**ჩერნიგოვი.** ძველ ბაბოვიჩში (ნოვოზიბოვის მაზრა) 125 მოსახლე გადაიწვა. ზარალი 60 ათასი მანათია.

**ბაქო.** საჯაროდ იყიდება სპარსეთის შაჰის გემი „ნასირი“. ეს ერთადერთი სპარსული გემია კასპიის ზღვაზე.

# მუშათა გაფიცვა საფრანგეთში

**რკინის გზის გაფიცვა საფრანგეთში.**

დაპატიმრებულ გაფიცულთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ამხანაგების დაპატიმრება უფრო აბრაზებს გაფიცულებს და ხშირად თავს დაესხმიან ხოლმე მატარებელს და განდგომილ ამხანაგ მემანქანეებს, რომელნიც გაფიცვას არ მიემხრნენ, ძალზე სცემენ.

2 ოქტომბერს გამართულ დიდს კრებაზე, დეპუტატმა თომამ განაცხადა, რომ ახლანდელი გაფიცვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია სოციალურ რევოლიუციისაო.

ჟორესმა განაცხადა: გაივლის სულ მცირე დრო, და გაფიცვა განახლებული ძალ-ღონით იფეთქებსო.

გაფიცვის მეთაურნი,—როგორც მათის ლაპარაკიდანა სჩანს,—გრძნობენ, რომ გაფიცვა სრულის გამარჯვებით ვერ დამთავრდება. ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მთავ-

# უკულმართობა

(მ ო თ ხ რ ო ბ ა)

## XV*)

გაიარა ხანმა.

ერთ დილას პეტრემ დათიკოს ახალი ჩუსტები მოუტანა.

— აბა, ეს ჩაიცვი და გასწი! — უბძანა მამამ.

დათიკომ სიხარულით დაიწყო ჩაცმა. პირველი იყო მისთვის ახალი ჩუსტები.

ქეთევანს, თუმცა ძალიან ეშინოდა ქმრისა, მაგრამ მაინც მოკრძალებით ჰკითხა:

სად მიგყავს?

ბატონიანთსა! — მკაცრი გადაწყვეტილებით მიუგო პეტრემ.

— შენ გენაცვალე, სხვა შვილებიც სულ იმათ კარზე სამსახურში ამოგვიწყდა... დათიკოს ნუ მომაშორებ... წყლის მომწოდებელი არავინა მყავს... — შეეხვეწა ქეთევანი.

— ამოიდგი, კიდევ ენა?! ჩემი საქმისა მე ვიცი!..

შეუტია პეტრემ, გაიგდო დათიკო წინ და გაჰყვა თითონ უკან.

ქეთევანი დარჩა მარტოკა, უნუგეშოდ, მშიერ-მწყურვალი, ღვთის ამარად დატოვებული. დღეში ერთხელ ელისაბედი მაგდანას ამოგზავნიდა ხოლმე და ის იყო იმის მოვლელი ამ ქვეყანაზე. იდო საცოდავად დაკრუნჩხული ლოგინში და თუ ვინმე სანახავად მივიდოდა, შესჩიოდა ყველას სახსრების ტკივილებს ერთავად წოლისაგან. შიმშილსა და წყურვილს არავის აგებინებდა, რადგანაც ბუნებითვე შეუწუხებელი ხასიათისა იყო. ქმართანაც აღარას ამბობდა, რაკი იცოდა, იმისი სიტყვა უთუოდ ჩხუბს გამოიწვევდა.

პეტრე სულ გალოთდა. ბატონი იმას ახლა მოურავის თანამდებობას ასრულებინებდა: აყიდვინებდა ტყიდან ტივის ხეებს, შუშას, ფიჩხს, სარს და თუმანზე ათ შაურს გასამრჯელოს იმას აძლევდა. ესე იგი ოცი თუმნისა რომ გაეყიდნა, ერთი თუმანი პეტრესი იყო. პეტრეს ჯიბეში ფული თითქმის ყოველთვის ჰქონდა, შეეძლო, ცოლშვილი კარგად ეცხოვრებინა, მაგრამ შინამდინ კი აღარ მიჰქონდა. გზაშივე ათავებდა და მთვრალი შინ საჩხუბრად-ღა მოდიოდა.

ბატონიანთსა დათიკოს ხელზე წყალს დაასხმევინებდნენ და აქცევინებდნენ ხოლმე.

ერთხელ ერთმა სტუმართაგანმა ერთი შაური აჩუქა. გახარებულმა დათიკომ იფიქრა: „დავეთხოვები, შინ წავალ, დედასაც ვნახავ, სონასაცა და თუ შაური დედას არ ენდომება, თოფს ვიყიდიო“.

ქალბატონმა უარი არ უთხრა. მხოლოდ გააფრთხილა: „არ დაიგვიანოვო“.

დათიკო მოვიდა შინ. დედას ლოგინთან მიუჯდა, აკოცა და დაუწყო ტიკტიკი: რაც ბატონიანთსა ენახა, ყველაფერი უამბო. ბოლოს ხვეწნით უთხრა:

— ერთი შაური მაჩუქეს და თოფს ვიყიდიო?!.. ჰა?!.. დედა?!.

მანამ ქეთევანი ეტყოდა რასმე, მაგდანა შემოვარდა და გადაეხვია დათიკოს:

— როგორა ხარ, დათიკო? მე შენ დედასთან სულ ყოველ დღე დავდივარ და საქმეებს ვუკეთებ ხოლმე!..

— მეც, როცა დიდი კაცი გავხდები, კაბას გიყიდი. ეხლა ერთი შაური მაქვს და ამითი თოფი უნდა ვიყიდო. სონაც უნდა ვნახო...

ამ სიტყვებთან დათიკომ ამოიღო შაური და უჩვენა.

ამ დროს მოულოდნელად ჩოჩელმა ოსანამ ძველ შალში გახვეული გამხმარი ბავშვი შემოიყვანა.

— სონა, ჩვენი სონა!.. — მისცვივდნენ დათიკო და მაგდანა.

ქეთევანს გული აუჩუყდა. თან სიხარულით, თან სიბრალულით თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

შიმშილისაგან და მოუვლელობისაგან დასუსტებულ-მიმტკნარებული და ტირილისაგან მოღალულ-მოქანცული ბავშვი ოსანამ ქეთევანს ლოგინზე მიუწვინა:

— აი, გეთაყვანეთ, თქვენი ბავშვი. მეტი მოვლა ველარ შევიძელი. სუსტი ხორცი აქვს საწყალსა. ლაჯებშიაც გამოკვლულია... ხან ფქვილი ჩავაყარე, ხან გაცრილი ნაცარი, მაგრამ მალ-მალე ისველებდა და ველარ მოვარჩინე. წვა აუვარდება ხოლმე და საცოდავად იჭაჭება... ჩემი ქმარი აღარ მომეშვა: „ნუ აღნავლებ, წაჰგვარე, ფულსაც არ იძლევიანო“. იმ დღეს დუქანში ენახა: ეთხოვნა და შენ ქმარს პირიქით კიდეც გაელაძლა. მე კი ჩემი ვალი აყრილი მექნება, გენაცვალეთ და თქვენ, როგორც გინდოდეთ, თქვენ შვილს ისე მოუარეთ. თუმანი და ათი შაური გვერგება ხუთ თვე ნახევრისა. ერთი კვირისას არ გიანგარიშებთ...

— დაგვაცადეთ, თქვენი ჭირიმეთ, როგორც იქნება, გადაგიხდით!.. — შეეხვეწა ქეთევანი.

— ჩემი ქმარი, ბარემ კამლანდავს, ცარიელა რომ მივალ, მაგრამ რას ვიზამ!.. — დაიწყო წუწუნი ოსანამა და წავიდა.

ქეთევანმა უღონო ხელებით მიიყვანა პირთან თავისი ობლად შობილი, აკოცა, აკოცა და სახე ცრემლებით დაუსველა. ბავშვმაც თითქო იგრძნო მშობლიური მოალერსება და ყელზე მაგრა მიეკრო.

მეტად საყვარელი და საცოდავი სანახავი იყო პატარა სონა. შავი თვალები გასდიდებოდა. ყველას ქკვიანურად აცქერდებოდა. საერთოდ კი ორკაპ ჩხირსა ჰგავდა.

ქეთევანის გულში დაუშრეტელი ცეცხლი ტრიალებდა. თითონ მოსავლელი იყო, ბავშვის მოვლა უჭირდა. დაჰყურებდა გულჩათუთქული თავის უდანაშაულო ქმნილებას და ვერა მოეხერხებინა რა...

დათიკო და მაგდანაც სიბრალულით ჩასცქეროდენ, ცოდვით იწვოდნენ.

ბავშვმა ჭინჭვრა დაიწყო. რაღაც აწუხებდა.

— ეშიება და რა ვუყო, რა ვქნა, მშიერი როგორ მოვკლათ!.. — აუმღვრდა უნუგეშოდ გული ქეთევანს.

დათიკომ მაშინვე მოსაზრა: „ამ შაურისას რძეს ვიყიდიო“ და გაიქცა მეზობლიანთსა, სადაც ძროხა ეგულებოდა. მაგდანაც უკან გაჰყვა.

მეტად სამწუხარო სანახავი იყო, როცა ქეთევანს თავისი მიხრწნილი სონა მარტოკას შერჩა. მიიკრა გულში, შეაერთა თავისი გამხდარი ტუჩები სონას პატარა ტუჩებს და ჩაუდო პირში მშრალი ენა. ბავშვს შიმშილი უფრო აღეძრა, დაუწყო წუწვნა და როცა დედის მლაშე ცრემლები ნერწყვში ჩაედვენთა და შეაწუხა, ტირილი დაიწყო.

ამასობაში დათიკომ ნახევარი ჭიქა რძე მოარბენინა, რადგანაც მეტი ვერ ეშოვნა.

ბავშვმა რომ ჭიქაში თეთრი რძე დაინახა, ჩიტივით შეიფთხრიალა და რაც შეეძლო, მიიწია.

დათიკომ საჩქაროდ მოაყუდა. ბავშვი გაუმაძღრად დაეწაფა, კინაღამ თავი შიგ ჩაჰყო, შესვა, შესვა და რაკი ჭიქაში რძე გამოილია, ტირილი მორთო.

დედასაც და ძმასაც გული დაეთუთქათ. დათიკომ ჭიქაში ნახევრამდის ცივი წყალი ჩაასხა, მიავლომოავლო და მიუშვირა კიდევ. ბავშვი ხელახლად დაეწაფა, მოსვა კიდევ, მაგრამ, რაკი რძის გემო აღარ ეჩემა, პირი მოაშორა. შიმშილი აწუხებდა. რძიანი წყლის სითეთრე ატყუებდა. ჩაყო კიდევ ჭიქაში თავი და მანამდე ხარბად სვა, სანამ კარგად გაძღებოდა.

ბავშვი თითქო მობრუნდა, მომხიარულდა: „ალუ-ალუს“ თქმა დაიწყო.

დათიკოს უგვიანდებოდა. ბატონისაც ეშინოდა, ქალბატონისაც. ყველაზე ძრიელ კი მამისა. გამოემშვიდობა დედას, აკოცა ერთხელ კიდევ სონას და წავიდა.

ქეთევანმა ბავშვი ჯახსნა. გაუშინჯა საზარდულებში ლალარწი ხორცები და დაიწვა საცოდავობითა. უსუფთაობისაგან იარად გახდომოდა საწყალს ლაჯები. გულმოკლულმა დედამ ისევ შაახვია და გვერდზე მიიწვინა. მთელი საღამო და ღამე ქეთევანი სულ ელისაბედისა და მაგდანას მოლოდინში იყო, მაგრამ არც ერთი არ მოვიდა. ბავშვის მოვლა კი ისე ძრიელ უჭირდა მთელ ღამეს თვალებზე რული არ მოსვლია.

გათენებისას ბავშვმა, ჯერ სუსტად იტირა, მერმე სიცხე მისცა, ააქშინა და ცოტა ხანს უკან ხრიალი დააწყებინა.

გათენდა ქეთევანისთვის კიდევ უბედური დილა.

ელისაბედი და მაგდანა ერთად ამოვიდნენ.

საძივეს ტირილმა გარედ ფრინველების ჭიკჭიკი გააყრუა.

ამ დროს პეტრე გოხიმელაბიჭის დუქანში ქეიფობდა.

მაგდანამ ნათლია გაბრიელას შეატყობინა.

ორი საათის შემდეგ ტარასტამ იღლიაში ამოიჩარა პატარა ფიცარზე თეთრ მიტკალ გადაფარებული სონა, გაუძღვა დიაკვანი წინ და წაიღეს სასაფლაოზე, საიდგანაც არას დროს აღარავის არ შააწუხებდა.

## XVI.

ქეთევანის მდგომარეობა უკიდურესობამდინ მივიდა. უჭმელობა, მოუვლელობა, სიცივე, ქმრის ჩხუბი, უნუგეშობა. და ტკივილები დღითი დღე ემატებოდა. ტანში დაილია, სახე დაუპატარავდა, მუხლები მოეკაკვა, ხელები ხმელ ჩონჩხებად გადაექცა. ერთთავად გულაღმა წოლისაგან გული ამოებურცა. ველარა ბრუნდებოდა. ერთი პატარა მუხლის ბალიში ჰქონდა, როცა მაგდანა ამოვიდოდა, ერთი მუხლიდგან გამოაღებინებდა და მეორეში დაადებინებდა. ამნაირის გამოცვლით გვერდებს შაღავათს აძლევდა. ბუზები და ჭერიდგან ჩამოცვივნული მიწა კი მოსვენებას არ აძლევდა, თვალებში უცვივდებოდა, სიკვდილი ენატრებოდა და მის სიცოცხლეს კი დასასრული არ უჩანდა.

ასე გადიოდა წელიწადები.

ეროს გაზაფხულზე, როდესაც ახალმოშენე ფრინველები გარედ მზის გულზე საამურად ჭიკჭიკებდნენ, რომელთა ხმაზედაც

*) იხ. „სახალხო გაზ.“ N 125.

რობამ სასტიკი ზომები მიიღო გაფიცულთა წინააღმდეგდა საზოგადოებრივი აზრიც გულ-გრილად შეხვდა გაფიცვას.

ამისდა მიუხედავად, ამ გაფიცვამ თავისი ნაყოფი უკვე გამოიღო. მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ახალი წლიდან, ხელფასი მოუმატოს რკინის გზის ყველა მოსამსახურეთა და მომუშავეთ.

მთავრობის მიერ აღმოჩენილი შეთქმულება იგულისხმებდა საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციებს, რომელიც ანარქისტ-სინდიკალისტების მოწყობილია საფრანგეთში.

ამ ორგანიზაციებსა სურდათ მთლად შეეჩერებინათ მატარებელთა მოძრაობა, რომ მთავრობას ადვილად ვერ აღედგინა მიმოსვლა.

თუ გაფიცვა გაგრძელდა, მთავრობა იძულებული გახდება სენატი მოიწვიოს, როგორც უმაღლესი სამსჯავრო.

შესაძლოა ისიც, რომ გაფიცულთა ბედი გამასწორებელმა პოლიციურმა სასამართლომ გადასწყვიტოს. თუ ასე მოხდა, ათი ათასობით გაფიცული მუშა პასუხისგების ქვეშ მოჰყვება.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ანარქისტები მედგარ აგიტაციას ეწევიან, რომ მუშები შეაიარაღონ. აუარებელ რევოლვერებს ყიდულობენ.

მთავრობა სასტიკ ზომებსა ხმარობს ამის წინააღმდეგ.

სამხრეთ რკინის გზაზე მუშები არ გამოცხადდნენ სამუშაოზე. ტულუზაში შეჩერდა საქონლის მატარებელთა მიმოსვლა.

**გაფიცულთა დევნა.**

გამასწორებელი პოლიცია უკვე შეუდგა გაფიცულთა გასამართლებას.

რუანში რკინის გზის მოსამსახურე, რომელიც ამხანაგებს მოუწოდებდა მუშაობის შესაჩერებლად, 3 თვით ციხეში ჩასვეს. პარიზში აგიტატორებს ორ-ორი თვით საპატიმრო გადაუწყვიტეს.

**გაფიცვის მეთაურთა დაპატიმრება.**

გაფიცვის მომწყობი კომიტეტი „ლუმანიტეს" რედაქციაში შეიკრიბა.

სალამოს 9 ნახ. საათზე რედაქციაში გამოცხადდა პოლიციის პრეფექტი-ლეპინი და პოლიციის უფროსი გამარი, 200 პოლიციელით.

რედაქციას პოლიციამ ალყა შემოარტყა.

გამარი 20 პოლიციელით ეხლა ლეპინს და რედაქციაში შევიდნენ. რედაქციის კარი დააკაკუნეს. მოლაპარაკების შემდეგ, კარი გაუღეს.

ერთი თანამშრომელი შეუძღვა ლეპინსა და გამარს იმ ოთახში, სადაც სოციალისტი დეპუტატები, რკინის გზის მსახურნი და პროფესიონალურ კავშირების მესვეურნი იყვნენ.

ლეპინმა ქუდი არ მოიხადა. ჟორესმა დაუყვირა:

— ქუდი მოიხადეთ!. სალამი მიეცით თქვენს მსხვერპლებს!

ლეპინმა ხმის ამოუღებლივ მოიხადა ქუდი.

— რესპუბლიკისა და გაფიცვის უფლების სახელით, ჩემს აღშფოთებულ გულის-წყრომას გიცხადებთ, ასეთ თავაღებულ და მოურიდებელ დატუსაღებისათვის!—უთხრა ჟორესმა პოლიციელებს.

მთავრობის ძალმომრეობაზე ვალიანმაც პროტესტი განაცხადა. ჟორესისა და ვალიანის გაკიცხვამ ლეპინიც აალაპარაკა.

— თქვენ აქ იმეორებთ იმავე სიტყვებს, რასაც ყოველ წლივ პერლაშეზის სასაფლაოზე ამბობთ ხოლმე!.

(იქაა დასაფლავებული კომუნარები, რომელთა საფლავზედაც ყოველ წლივ გადიან ხოლმე პარიზის მუშები სოციალისტების მეთაურობით).

ლეპინის სიტყვამ დამსწრეთა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

დეპუტატმა რენოლდმა დაამშვიდა იგინი: ეს ბატონები იმისთვის შემოუშვით აქ, რომ თავისი მოვალეობა შეასრულონ.

დეპუტატად ნამყოფმა ვარენმა შეჰყვირა.

— ბრიანმა თვითონ მომიწვია ამ რედაქციაში მდივნად.

— ძირს საზიზღარი რენეგატი ბრიანი!—შესძახეს ყველამ.

პოლიციელები სდუმდნენ. გამარმა სიით გამოიწვია ყველანი, ვინც უნდა დაეპატიმრებინათ.

— აი, სკამი, რომელზედაც იჯდა ხოლმე თვითონ ბრიანი, დაბრძანდით!—სკამი შესთავაზა ლეპინს ვარენმა.

— ჩვენ როშეტტის საქმის ხელისშეწყობისათვის მაინც არ გვატუსაღებენ!—წარმოსთქვა ერთმა.

ლეპინმა ამ მწარე გახსენებას ვეღარ გაუძლო და ოთახიდან გავიდა.

ერთი დატუსაღებულთაგანი, შალლე, არ გაჰყვა. მან იმითი ისარგებლა, რომ მისი გვარი დამახინჯებულათ იყო სიაში მოხსენებული პოლიციამ ძალაუნებურად გაანთავისუფლა შალლე.

ამ ამბის გამო ჟორესმა ცხარე წერილი მოათავსა „ლუმანიტეში", სადაც მწარე გესლით ამბობს: ბრიანმა, რომელიც საყოველთაო გაფიცვის პირველი მოქადაგე იყო, რედაქციაში მოგვისია პოლიცია, მუშათა მეთაურების დასატუსაღებლადაო.

---

ადამიანი ქვეყნიურ სიტკბოს მძლავრად ეწაფებოდა და გრძნობით ავსილს სიცოცხლე ერთი ორად სწყურდებოდა, ქეთევანს სიცხე მისცა. გულმა საზარლად ცემა დაუწყო და სულის უკანასკნელმა ბრძოლამ მტანჯავი ქშენა დააწყებინა.

მგდანამ ელისაბედს ჩაუტანა ეს ამბავი.

პატარა ხანს უკან მარანი გაივსო სატირლად მოსულ დედა-კაცებითა.

პეტრეს შეატყობინეს.

დათიკო უკვე დავაჟკაცებული იყო. კარგა ხანია, რაც ფიქრობდა ბატონიანთაგან გამოსვლას, ავადმყოფ დედის მოპატრონებას, მაგრამ ჯერ ვერ ახერხებდა. დროს უცდიდა. მართალია, შორიდგანაც ყურს უგდებდა, ცოტ-ცოტას ეხმარებოდა, მაგრამ პატარა იყო და აქამდინ იმდენი შველა არ შეეძლო ახლა კი, როცა ამბავი მოუტანეს: „დედაშენს მოხედეო"! გულში ისარმა დაუარა. მიხვდა, რომ შველა გვიანღა იყო, დედა ცუდად იქნებოდა. ფიქრები ეშლებოდა. საჩქაროდ საქმე ხელიდგან გააგდო და შინისკენ გამოიქცა. გზაში ალარაფერი სანახავი აღარ იპყრობდა იმის ყურადღებას. ყველაფერი ბუნდად ეჩვენებოდა.

მარნის კარებში დედა-კაცების ჩოჩქოლი, რომ დაინახა, გამწარებულმა გაარღვია ჯგუფი და გულშეუკავებლად შავარდა შიგნით, სადაც პირდაპირ ტახტს მიჰმართა და ამღელვებული მიუწვა გვერდზე საყვარელ მშობელს. მომაკვდავმა დახუჭილი თვალები გაახილა და როდესაც იცნო თავისი დათიკო, უღონოდ აიღო გამხმარი ხელი, მოხვია თავზედ და ანიშნა: „მამეხუტეო"! შვილი მიუხვდა დედის სურვილს და ჩუმის ქვითინით ჩაეკრა გულში.

მომაკვდავმა თითქოს მოიხედა, შვილის ნახვაზე მობრუნდა. სუსტი ხმის ამოღება შეიძლო, მხოლოდ ქშინვას უფრო მოუმატა.

ამ დროს შემოვიდა პეტრე, გამოფხიზლებული, გამორკვეული, მონანებული. ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. მივიდა ცოლთან, მუხლისთავებით ტახტზე წაეყუდა და დაბალის ხმითა ჰკითხა:

— ქეთევან! როგორა ხარ?!

ავადმყოფს გვირგვინის პირველდრონდელმა ტრფობამ დაურბინა ძარღვებში, გაახსენდა პეტრესთან თავისი სულის გაერთიანება, მონანიებამ აღუძრა ჯიგარი, დავიწყებას მისცა მისი ყოველი ცუდი საქციელი და უღონო განებივრებით, მხურვალე ქოშინით უთხრა ქმარს:

— მოდი, ახლო დაჯექი!..

ქმარმა გაუგონა.

სულთმაბრძოლმა კიდევ მოიკრიფა ღონე, აიღო თავი დათიკოს მკლავიდან, პეტრეს მკერდს მიაყრდნა და მორღვეული თვალები იქაურობას მიავლ-მოავლო.. მიხვდა, რომ ქალებიც და კაცებიც, ქმარიც და შვილიც მის გასაცილებლად იყვნენ მოსულნი. აქამდის სად იყვნენ? ეს ვეღარ იფიქრა ქეთევანმა და ყველასაგან დავალებული მიდიოდა თავის მეუფესთან. ჰგრძნობდა, რომ უკანასკნელი წამები ღა იყო მისთვის ამ ქვეყანაზე და დათიკოსა და პეტრეს აღარ უშვებდა. არ უნდოდა მათი დაშორება. ეხლა ენანებოდა სიცოცხლე. სიცხემ კი უფრო მოუმატა: „პეტრე!.. დათიკო!.. დათიკო!.. პეტრე!.. ჰო!.. აქ არის!.. ხშირად იმეორებდა. ბოლოს მიაშტერა თვალები ჭერში და დაიწყო გამოურკვეველი ბოდვა: „ნიკა!.. გიორგი!.. სონა!.. ოსანა!.. ჰა!.. ჰა!.. ნუცა!.. მაშო!.. ჰა!.. ჰა!.." შემდეგ გაიზმორა, გაიქროლა და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

ოთახი გლოვის ზარმა ჩამოაბნელა.

გ. ხერუაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

# რევოლუცია პორტუგალიაში

**როგორ მომზადდა პორტუგალიის რევოლუცია.**

ეხლახან ლისაბონიდან ოპორტოში დაბრუნდა ექიმი ესკერდა, რომელიც მაჩადოსი, ტელეცისა, კასტასი, ექიმ ბამბარდისა და სხვათა მახლობელი და გულითადი მეგობარი და თანამოაზრეა.

ექიმი ესკერდა—ისპანიის რესპუბლიკანელთა უძველეს ფრაქციის (ზარილისტების) — ბელადია. მისი დამახასიათებელი ის არის, რომ პოლიტიკურ საქმეებში მომხრეა საიდუმლოების სასტიკის დაცვისა და შეიარაღებულ აჯანყებისა.

მასთან უსაუბრია გაზეთის ერთ თანამშრომელს. პორტუგალიაში ყოფნის დროს, ექიმ ესკერდას შემდეგი შთაბეჭდილებანი გამოუტანია.

— პორტუგალიაში პოლიტიკურის მოსაზრებით ვიყავ. ისპანიისა და პორტუგალიის რესპუბლიკანელთა ოცნება მუდამ ის იყო, რომ ორივე ქვეყანაში ერთ დროს მოგვეხდინა რევოლუცია.

ექიმ ბამბარდას მოკვლის წინა დღესაც, ხანგრძლივი თათბირი გვქონდა მასთან. განსვენებული გვიმტკიცებდა, რომ რევოლუციის მოსახდენად ყველაფერი მომზადებული გვაქვსო, ასე რომ პირდაპირ შევეკითხე:

— მაშ, რაღას ელით მეთქი?!

— დამშვიდდით, ბევრი ლოდინი აღარ დაგჭირდებათ. ხვალე რომ მთავრობა ძველმა რეაქციონერებმა ჩაიგდონ ხელში, ზეგ ჩვენში ან რესპუბლიკა დამყარდება, ან სისხლით გაიჟღინთება ჩვენი მიწა-წყალიო!—მიპასუხა ბარმანდმა და დღევანდელ დროებით მთავრობის მინისტრმა ტელეცმა.

მაგრამ არავინ მოელოდა, თუ, მთავრობის მხრივ საბაბის მიუცემლად, მაინც ასე სწრაფათ იფეთქებდა რევოლიუცია.

ამის აჩქარებას ექიმ ბამბარდის მოკვლამ შეუწყო ხელი. ხალხი იმდენად აფორიაქებული და ამრეზილი იყო მთავრობის წინააღმდეგ რომ საკმაო იყო ასეთ ცნობილ ექიმის მოკვლა, რომ იარაღით ქუჩაში გამოსულიყო.

დარწმუნებით შემიძლიან გითხრათ, რომ რესპუბლიკანელები სრულიად მომზადებულად შეხვდნენ აჯანყებას, რადგანაც ოპორტოში მომხდარ უნაყოფო რევოლუციის მერე, თავგამოდებით ემზადებოდნენ. ამ მხრივ პორტუგალიის რევოლუცია ოსმალეთის რევოლუციას ემსგავსება.

რაზე ემყარებოდა რევოლუცია? მთელს ერზე. მით უმეტეს, რომ მთავრობის სისასტიკე და მუხრუჭი იქამდე მივიდა, რომ პოლიციელებისა და ქურდბაცაცა მოხელეების გარდა მომხრე და თანამგრძნობელი აღარავინ შერჩა.

ხალხის აჯანყებას კლერიკალებმაც დიდად შეუწყეს ხელი. მათ მთავრობასთან ჰქონდა კუდი გადაბმული, და მათი განდევნა კი ყოვლად შეუძლებელი იყო, ძირითად ცვლილების გარეითად.

პორტუგალია და ისპანია რომ შევადარო, ვიტყვი: პორტუგალიის უპირატესობა ყველა რევოლუციონურ პარტიათ ერთსულოვნებაშია. თუმცა რესპუბლიკელთა პარტია ორ წყებათაა დაყოფილის, (მემარცხენე და მემარჯვენენი), მაგრამ გათიშული და ცალკ-ცალკე მომქმედი ფრაქციები არა არსებობს. საერთოდ რომ ვსთქვათ, პორტუგალიაში მხოლოდ რესპუბლიკანელები არიან. მათ შორის სოციალისტები მეტად მცირეა და მომხდარ ამბებში თვალ-საჩინო ღვაწლი არ მიუძღვით.

— ყუმბარები?.. საიდან იშოვნეს?

—უკითხავს კორესპონდენტს.

— ყუმბარები? რა თქმა უნდა საკუთარის ლაბარატორიიდან ჰქონდათ, ე. ი. რევოლუციონერების საწყობიდან. თუმცა ყუმბარები ძალიან ცოტა დასჭირდათ; ყოველ შემთხვევაში იმაზე ნაკლები, რაც ახლა იეზუიტების საწყობებში აღმოაჩინეს.

---

**დღეს ჩვენს გაზეთთან ერთად ხელის მომწერლებს ურიგდებათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის ფურცლები.**

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ **ქართული თეატრი.** კვირას, 10 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება ნ. შიუკაშვილის ახალი პიესა „გამხმარი ფოთოლი", დრ. 4 მოქ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობითა და მონაწილეობით. პიესისათვის ახალი დეკორაციები დამზადებული. პიესის მხატვრული მხარე, ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული ტიპები, ახალი დეკორაციები და ვლ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობა თავდებია იმისა, რომ წარმოდგენა ფრიად საყურადღებო იქმნება.

✦ **ფრენა.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ავიატორი უტოჩკინი, რომელიც თავის მფრინავ მანქანით სხვებსაც აფრენს ფასით. ეინხელვალდი უკვე შეჰკითხებია სხვა და სხვა პირთ, აქვთ თუ არა სურვილი უტოჩკინთან აფრენისა. ასეთი სურვილი ტფილისში უკვე განუცხადებიათ რამდენიმე პირს, მათ შორის ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვსაც.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები.** ქალთა უმაღლეს კურსების სამეურნეო კომიტეტმა უკვე გაანაწილა სტიპენდიები კურსების მსმენელ ქალთა შორის. კურსების ერთ-ერთ დამაარსებელთაგანის თავ. ა. ა. ბებუთოვის ორი სტიპენდია დაუნიშნა კურსების საბუნებისმეტყველო განყოფილების მსმენელ ქალთ: ნ. ტერ-გრიგორიანცსა და ლ. ნელიუპოვისას. განსვენებულ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობის სტიპენდია დაუნიშნა სიტყვიერებისა და ისტორიის განყოფილების მსმენელ ქალს—ლ. ქიქინაძეს.

✦ **გენერალი ტოლმაჩევი.** როგორც რუსეთის გაზეთებს ყური მოუკრავთ, ოდესის გრადონაჩალნიკს, ცნობილს ტოლმაჩევს კავკასიაში რაღაც დიდს თანამდებობას აძლევენ.

✦ **დეკანოზი ვოსტორგოვი.** როგორც ყური მოვკარით, ცნობილ დეკანოზის იოანე ვოსტორგოვის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს არც სულ უშედეგოდ ჩაუვლია. ტფილისში ცნობა მიუღია ვოსტორგოვის ერთს კარგს მეგობარს იმის შესახებ, რომ სინოდს დეკანოზ ვოსტორგოვისათვის მოუთხოვნია აუცილებლად თავი იმართლოს ყველა იმ ბრალდებათაგან, რომელიც მის წინააღმდეგ რუსეთის გაზეთებმა წამოაყენეს. ამიტომ ვოსტორგოვს გადაუწყვეტია მოკლე ხანში ტფილისს ესტუმროს და ადგილობრივ, მოწმების ჩვენებათა ჩამორთმევით, დაარღვიოს ბრალდება, ვითომ მას ტფილისის პირველ საქალებო გიმნაზიაში მოსწავლე ქალები გაეუპატიურებინოს. თუ მისი ჩამოსვლა ტფილისში რაიმე მიზეზით არ მოხერხდა, მაშინ ვოსტორგოვი რომელიმე თავისს მეგობარს გამოგზავნის.

✦ **მარტიროზოვები.** როგორც გავიგეთ, ექიმ ალამალოვის მკვლელთა არშაკ და თამარა მარტიროზოვების საქმეს მოკლე ხანში გაარჩევენ ტფ. ოლქის სასამართლოში.

✦ **კიდევ ქამაროვის გატაცების გამო.** ამ დღეებში სურამში დაპატიმრებული ბოქაულის მწერალი იასონ კვალიაშვილი, რომელიც გიმნაზიელ ქამაროვის გატაცების საქმის გამო შეიპყრეს, ტფილისში ჩამოიყვანეს და ჟანდარმთა სამმართველოს გადასცეს.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს მომავალ კრებაზე სხვათა შორის, განსახილველი აქვს შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ქალაქის მოურავისა პირველ სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარის მურომცევის გარდაცვალების შესახებ, 2) ხმოსან აბრამიანის შეკითხვა ქალაქის კანტროლის შესახებ, 3) ხმოსანთა ერთის ჯგუფის შეკითხვა ცირკის ახალ შენობის შესახებ და სხვ.

✦ **კავკასიის მფრინავთა ჯგუფი.** ამ დღეებში კავკასიის მფრინავთა ჯგუფმა სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, ნავთლუღში ქალაქის თავისუფალი ადგილი მოგვეცითო. ამ ადგილას ჯგუფი ფრენის მოწყობასა და ავიაციის სკოლის გამართვას აპირობს. ეს თხოვნა განსახილველად გადაეცემა ქალაქის საბჭოს კრებას ორშაბათს, 11 ოქტომბერს.

✦ **კურსები კავკასიის შესასწავლად.** დღეს, საზოგადო კლუბის დარბაზში (ბირჟის დარბაზი) სალამოს 7 საათზე, კვლავ დაიწყობა კურსები კავკასიის შესასწავლად. პროფეს. კ. ვ. ხარიჩკოვის ლექციით: „კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრენი, როგორც ამ ლექციისა, ისე შემდეგ ლექციების დანიშნულებაა მსმენელებს განუმარტოს სხვა-და-სხვა დარგი კავკასიის შესწავლისა. სისტემატიური კურსები კი მაშინ დაარსდება, თუ თითოეულ საგანზე ჩაეწერება არა ნაკლებ ათის მსმენელისა.

ამავე დარბაზში სალამოს რვა საათზე ა. ი. მალხაზოვი წაიკითხავს რეფერატს: „ნეორომანტიზმი თანამედროვე ლიტერატურაში". რეფერატის შემდეგ გაიმართება საუბარი და ლიტერატურულ-მუსიკალური განყოფილება.

✦ **მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების კავკასიურ განყოფილების კრება.** დღეს, სალამოს 8 საათზე, ტფილისის საჯარო სამკითხველოს დარბაზში მოხდება კრება მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების კავკასიურ განყოფილების წევრთა კრება. ამ კრებაზე ბ ნი თაყაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას სპილენძის იმ ძველ ნივთთა შესახებ, რომელიც მას ყვირილის ხეობაში უპოვნია.

✦ **კითხვა-ლექციები.** დღეს, 9 ოქტომბერს, კავკასიის საექიმო საზოგადოების შენობაში (გიორგის ქუჩა, სახლი № 4) ქ-ნი კუმსიშვილისა რუსულ ენაზე წაიკითხავს ბავშვთათვის კოროლენკოს მოთხრობას: „ქვესკნელის შვილები". კითხვა დაიწყება ნაშუადღევის ხუთ საათზე. კვირას, 10 ოქტომბერს, ამავე შენობაში, დილის 10 საათზე, ქ ნი ვარდანიანი სომხურად წაიკითხავს „ქვესკნელის შვილებს", ხოლო ქ ნი ა. ახალშენიშვილისა დილის 11 საათზე წაიკითხავს ქართულად კოლოკოლნიკოვის მოთხრობას „ყვავს".

✦ **წარმოდგენა სახალხო სახლში.** დღეს, 9 ოქტომბერს სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ არტისტთა დახმარებით წარმოდგენილ იქმნა შილლერის „ყაჩაღები".

✦ **კაცის მოტაცება.** 5 ოქტომბერს, სალამოს 6 საათზე გორის მაზრის სოფელ ზემო-ნიქოზში ექვს შეიარაღებულ უცნობთ წაუტაცნიათ ადგილობრივი მეხილე აისორი.

✦ **ტრამვაი.** ქალაქის გამგეობამ [illegible] ნება დართო ტრამვაის [illegible] ვორონცოვის ძეგლიდან დიდუბის მოედნამდე რამდენიმე საგანგებო ვაგონი ამუშაოს იმ დღეს, როდესაც დიდუბის მოედანზე უტოჩკინი გაფრინდება.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ქართულმა სექციამ თავის უკანასკნელი კრება მოანდომა სკოლების მასწავლებელთა მიერ წარდგენილ ანგარიშების განხილვას.

✦ **საზოგადო კლუბში.** ამ მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მდივანი მ. ა. ჯაბარი საზოგადო კლუბში წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე: „საბიუჯეტო უფლებანი ქალაქებისა და ფინანსები ქალაქ ტფილისისა.

✦ **უფასო ბილეთები.** ტფ. ბოტანიკურ ბაღის დირექტორმა როლოვმა ნება დართო სახალხო უნივერსიტეტის სკოლების მოსწავლეებმა ბოტანიკური ბაღი უფასოდ დაათვალიერონ.

✦ **გაზეთის დახურვა.** რუსული გაზეთი „ტფილისის გაზეთი კოპეიკა" ეს ერთი კვირაა აღარ გამოდის ნივთიერ უსახსრობისა გამო.

✦ **7 ოქტომბერს ტფილისში ზოდიციამ შეიპყრო მიხეილ სამადუროვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.**

✦ **7 ოქტომბერს პოლიციამ ტფილისში 55 უპასპორტო შეიპყრო.**

---

# ავლაბარი

1634—1658 წ. მეფე როსტომმა, ისანს თავი მიანება და თავისი სასახლე მეტეხიდან, მტკვრის პირას, სიონსა და ანჩის ხატს შუა, მოათავსა. „სალაყბოზე"*), სასახლის პირდაპირ, უშველებელი შენობა დადგა წიგნთ საცავის და სამეფო ოქმების შესანახად. მეტეხის ზემოდ მაღლობებიდან და მტკვრის ქარაფებიდან დიდებულნიც თავიანთ სასახლეებით ძირს ჩავიდნენ...

როსტომ მეფის სასახლეში დღეს ეგზარხოსია მოთავსებული, მდივანხანაში კი—სინოდალური კონტორა, მის ძირში მტკვრის პირას ციციანოვის აღმართიდან მშვენივრად მოჩანს ზარაფხანა...

სამეფო წიგნთ-საცავის შენობა შახ-აბაზმა გადაბუგა. დიდებულთა სასახლენი უცხო ტომის ბურჯებს დარჩჰათ, ზოგში კი საეკლესიო წოდების პირნი მოთავსდნენ... მგონი, მარტო ოდენ ქოვაზელიშვილებს და შერჩათ ძველებური სასახლე.

როსტომ—მეფის მიერ დაწუნებული ისანი თან და თან გაპარტახდა. აქ დიცხანს მხოლოდ „საგოდებელი" ღა ასრულებდა თავის დანიშნულობას... იგი იყო ქალაქის გარდაცვალებულთა უშველებელი სასაფლაო—ბლომა საყდრებით. შახ-აბაზმა სრულებით მიანგრ-მოანგრია ისინი... საგოდებელიც კი ქვაშვეთ—ვერისკენ გადიტანეს და ეს ნანგრევები დიდხანს იყვნენ ტრამლად, ვიდრე მეფე ერეკლემ ყარაბაღიდან და თ. ციციანოვმა ერევნიდან სომხობა არ გადმოასახლეს და ისანის ნანგრევებზე სოფელი ავლაბარი არ გაშენდა.,. საგოდებელიცკი, ქოხებით მოიფინა... ერთი მისი საყდარი სომხებმა თავიანთ ეკლესიად გადააკეთეს და სახელად „ავეტრანი" უწოდეს. ქართველებს საგოდებლიდან ერთი ეკლესია-ღა შეჰრჩათ. აწ წმ. მარინისა, ხოლო მაშინ მირქმის ეკლესიად წოდებული..

ქართველებმაც ჩაიდეს წილის. ავლაბარში, ჩამოვიდნენ და გამართეს ხვნა-თესვა. . ავლაბარში კალოების მომსწრენი დღესაც იპოვებიან,..

ქალაქელობა ისევ დაიბრუნა ავლაბარმა, მაგრამ მშვენიერი სახელი ისანი კი, სამუდამოდ დაჰკარგა... დაჰკარგა ამასთანავე ძველი დიდება და პატივიც...

ქოხები მოფოჟოლავდა, ქუჩები დასწორდა, ავლაბარი ქალაქის უშველებელ ნაწილად გადიქცა, ქალაქის სამმართველოში ბლომად ჰგზავნის გადასახადს, მაგრამ ამაგს არავინ უფასებს.. „ჰეი, ავლაბაროვო"! გაისმის ყოველ მხრიდან... იქამდის დაუბრიყვებიათ ავლაბრელები, რომ ტელეგრაფის განყოფილებაც კი არ არის. ტელეგრამის გაგზავნა რომ მოუნდეთ შუა ქალაქში უნდა გაიქცეთ, ასევე უნდა მოიქცეთ ფულის გაგზავნის დროსაც..

აქაურ ფოშტის განყოფილებაში,

*) სალაყბო, ეხლა რომ ეგზარხის სახლის წინ ბაღია,—ის იყო.

მარკას თუ იყიდი, ან უბრალო წერილს თუ გაჰგზავნი...

იბრიყვებს ავლაბრელებს „ტრამვაიც“. კუკიის ხიდიდან რიყემდე სამი კაპეიკია ბილეთი, ავლაბრის მეიდნამდე-კი შაური. ვინც გინდა და როცა უნდაგაზომოს ეს გზა, მანძილი ერთია.

ვა! ღმერთი არა გაქვთ, გზა თანაბარია, ფულს კი მეტ გვახდევინებთ!

აყვედრის კონდუკტორს ავლაბრელი. კონდუკტორი-კი უპასუხებს: იმიტომ, ძამიავ, რომ ჰხედავ აქ აღმართია!!.

— ვა, შე დალოცვილო, აქედან რომ აღმართია, იქიდან კიდევ დაღმართია, მაგრამ სიხარბით რომ აღარ იცით, რა ჰქნათ?!..

ავლაბრის ქუჩები თანდა-თანობით იკირწყლება, მაგრამ მათი მოვლა ჯერ ბევრ ზრუნვას თხოულობს: მკვდარქათმებს, ძაღლებს ქუჩაში მრავალგან შეჰხვდებით.

წყლის მილებიც ნაკლებადაა. წვრილი სახლის პატრონებს რომელთა რიცხვიც სჭარბობს ავლაბარში, არ შეუძლიან გაიყვანონ უმთავრესი მილი. ეს მილი რომ ქალაქის გამგეობამ გაიყვანოს, სახლის პატრონებიც დაეხმარებიან, მაგრამ ავლაბრისათვის ვისა სცხელა.

* *

დიდი ძალი კრუა სომეხი აწყდება მუდამ ავლაბარს... ოჯახი—ოჯახებზე მოდის და მთელი ავლაბარი გაამსეს.. დღეს ჰნახავ უცხოეთიდან მოსულ კროა-სომხებს, თავის სოფლურ ტანთსაცმელში, მეორე დღეს ან „დვორნიკის“ ფორმა აცვია, ან დაბალი პოლიციელის, ან დუქანი აქვს გაღებული და რავდენიმე ცალი სპიჩკა-პაპიროზით ვაჭრობს... ძალიან ხელს უმართავენ მოძმეებს ავლაბრელი შეძლებულნი და ისე ენდობიან, რომ სავაჭრო დუქნებსაც კი უღებენ და საქმეს აჩემებენ.. წყლის მზიდავი ბოჩკებით, ქუჩის მგებლები, მეფურნენი, მეკურტნენი ავლაბარში სულ ახლად ჩამოსული კროა-სომხები არიან...

ეს უშველებელი რიცხვი ახალ მოსულთა ჰქმნის დიდძალ მუქთა ხორას და თან ვაჭრობის საქმესაც აფუჭებს რადგანაც ავლაბარში ძალზე გამრავლდნენ ჩარჩები ამიტომ ავლაბარში, თუ აქამდე პირიანი ვაჭრობა იყო, დღეს დაეცა და გაყალბდა კიდეც. შუაგზაზე უხვდება ჩარჩი სოფლიდან სანოვაგის მომტანს, ყიდულობს მისგან სანოვაგეს და მერე მოგებით ჰყიდის.. ამასთან სანოვაგეც დაბალი უვარგისი და ყალბი გამოდის ვაჭრობის ასპარეზზედ... ეს ფაქტი ყველასათვის თვალ-საჩინოა ავლაბარში.— **ანნელი.**

## მთვარიდან ამბები

**ს. ლეხაინდრათ** (სენაკის მაზრა). იმეიათად ნახავთ ისე ყოველმხრივ ჩამორჩენილ კუთხეს, როგორიც ეს საზოგადოებაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებაში რამდენიმე სოფელი და ათას ხუთას კომლამდე მცხოვრებია, აქ ვერ ნახავთ ერთ ხეირიან შკოლას, სამკითხველოს და სხვა ამგვარს კულტურულ დაწესებულებებს. უმრავლესობა ადგილობრივი ახალგაზრდებისა ეფერო სმაში და კარტის თამაშში ატარებს დროს და ხალხის საკეთილდღეოდ საგანზე საკითხის აღძვრა არ აინტერესებთ.

წელს აქეთ, საზოგადოდ, მოსავალს კარგი პირი უჩანს და შეიძლება ცოტათი მაინც სული მოითქვას სხვა და სხვა შევიწროებათაგან ეკონომიურად მიწასთან გასწორებულმა გლეხმა. **ხანა.**

—

**ძოდი** (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი დაშორებულია დაბა ჭიათურაზე 8 ვერსით.

ძოდი არის საზღვარი, სადაც შავი ქვის მადნები თავდება. გარეგნულად სოფელი სასიამოვნო სანახავია; არც შიგნიდან უშავს რამე: ფიცრული სახლები, მწვანით დაფენილი და ხეხილთა ეზოებით. ეს სოფელი საზაფხულოდ ძალიან კარგი აგარაკია, რადგანაც მაღლობზეა გაშენებული. მცხოვრებნი სულ აზნაურები არიან, გვარად გამყრელიძეები. და მისდევენ მევენახეობას. მაგრამ ღვინო მდარე დგება. ღვინის სიმდარე მით აიხსნება, რომ იძულებულნი არიან ადრე მოკრიფონ ყურძენი, რომ სიცივემ არ დაჰკრას.

წლეულ ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლებია. ვენახები ფუჭდება და ძირიანად ხმება. სამაგიეროდ სიმინდის მოსავალი ძალიან კარგია. მცხოვრებნი განსაკუთრებით მჭიდროდ იგზებიან. პურსაც სთესვენ, მაგრამ ძალიან ნაკლებად კი. **X**

—

**სოფ. კიცხი** (ზემო იმერეთი). არავითარი საერთოზოდი კულტურული დაწესებულება, გარდა ერთის ორ კლასიანის სკოლისა, აქ არ არსებობს და ამ სკოლაშიაც მეჩხურ მეთოდს ღრმად აქვს ფესვები გადგმული. მასწავლებლებიც ნაკლებად ასრულებენ თავის მოვალეობას...

აქეთ დიდი გასავალი აქვთ „ტარიელ მკლავაძეებს“ და „მოსე მწერლებს“:

ამას წინად ტარიელ მკლავაძისებურმა ყმაწვილებმა სოფ. ზეგანში მოიტაცეს ერთი ქალი. ეს შეიტყო პოლიციამ და უვლა მომტაცებლებს სატუსაღოში უკრა თავი.

ხალხი უიმისოდაც გაჭირვებულია ათასის გადასახადებით და ადგილობრივი „მოსე მწერლები“ ხომ სულ ართმევენ, ასე ვსთქვათ „არა პირდაპირის გადასახადებითაც“, საკუთარ ჯიბის სასარგებლოდ რასაკვირველია, ნეტა როდემდის იფარფაშებენ ხალხის ეს გაუმაძღარი და უკმეხი მწერლები?!

არც კიცხსა და არც მის მახლობელ სოფლებში არ არის სამკითხველო და ბიბლიოთეკა. კარგი იქნება, თუ წ. კ. გ. საზოგადოება ყურადღებას მოაქცევს და სოფელ კიცხში წიგნთ-საცავ სამკითხველოს დააარსებს.

**ქ. ლოხიანთხეველი.**

## თეატრი და ხელოვნება

როდესაც ლ. ანდრეევმა თავისი „ანათემა“ დასწერა, ხმა გავრცელდა, ეს ნაწარმოები გორდინის პიესიდან არის მოპარულიო. გარეგანი მსგავსება მართლაც დიდია. იქაც და აქაც ერთი და იგივე ეშმაკი, ბოროტი სული, ხოლო სხვა და სხვა ფორმაცისა, კეთილ სულს ებრძვიან. ამ მიზნით ისინი ქვევით, ცოდვილ დედა-მიწაზე ეშვებიან და ადამიანთან პირისპირ დამოკიდებულებით სურთ თავისი. მიზნის მიღწევა. ანდრეევის ანათემა სიმართლეს, სიკეთეს დაეძებს. იგი ევედრება რაღაც გამოურკვეველ ძალას ამცნოს თავის ვინაობა, უთხრას თავისი სახელი, მაგრამ იგი სდუმს. ანათემა დედა-მიწაზე დაეშვება და იქ აღმოაჩენს, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ბოროტებაა გამეფებული, რომ თვით სიკეთეც მხოლოდ ბოროტებაა. გორდინის სატანა სულ სხვა მიზნებს ისახავს. მას სურს სათნოიანი და მორწმუნე ადამიანი ბოროტად აქციოს. ამ მიზნით იგი დედა-მიწაზე ჩამოდის, ამ სათნოიან ადამიანს ამდიდრებს, ასახიჩრებს ზნეობრივად, მაგრამ საწადელს მაინც ვერ აღწევს, ადამიანში ადამიანს მაინც ვერა ჰკლავს.

ლ. ანდრეევი ღრმა ფილოსოფიურ აზრს ანვითარებს, მისი ანათემა უმაღლეს სიკეთისა და ჭეშმარიტების მაძიებელია, გორდინის სატანა კი დრამის ხლართის გასანასკვად ჩახხირული არსებაა. დედა-ძარღვი გორდინის პიესისა იმაში მდგომარეობს, რომ სიმდიდრე ზნეობრივად ასახიჩრებს ადამიანს, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებული მაინც ადამიანი რჩება. ჰერშელე ლუბროკნერმა თავი მოიკლა, მოკვდა ხორციელად, მაგრამ ეს ხორციელი სიკვდილი იყო მისი სულიერი განახლება.

ხუთშაბათს, 7 ოქტომბერს, ქართულ სცენაზე წარმოდგენილი „სატანა“ ერთი იმ პიესათაგანია, რომელიც ახალს სრულიად არაფერს გვაძლევს, ფსიხოლოგიური მომენტები ძალიან დაშორებულია სინამდვილისაგან, სამაგიეროდ ისე შერჩევითაა დაწერილი, რომ მაყურებელზე განსაზღვრულ შთაბეჭდილებას ახდენს. თავის-თავად ფრიად მარტივი აზრი, რომ სიმდიდრე ადამიანს ამახინჯებს, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მოჰკლავს მას,—ეს მარტივი აზრი განვითარებულია ექვს უზარ-მაზარ სურათში. ზოგიერთი ეფექტიანი სცენები რომ არა ყოფილიყო, მისი ბოლომდის მოსმენა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

თამაშობითაც მსახიობები, წინანდელთან შედარებით, სუსტად და უგულოთ თამაშობდნენ, გარდა თვით ვ. ალ.-მესხიშვილისა და კ. შალიკაშვილისა. ბ-ნ კ. შალიკაშვილს ყველა წარმოდგენებში გასაოცარი სიმარტივე და ბუნებრივობა ემჩნევა. ხუთშაბათსაც მან მშვენივრად შეასრულა ბებერ ლეიზერ-ბადხენის როლი.

უგულობა ეტყობოდა ქ. ნ. დავითაშვილს; იგი თავის როლს ნაკლების გრძნობით ასრულებდა, ალბად იმიტომ, რომ საერთოდ ამ როლში გრძნობათა სიძლიერის გამოჩენა შეუძლებელია, და მომქმედი პირიც არ არის ჩაყენებული ისეთს პირობებში, რომ მის გრძნობითა გრეხილი საკმაოდ გარკვეული და თვალსაჩინო იყოს. იმის გადმოცემა კი, რაც თვალსაჩინო არ არის, რაც თვით ავტორსაც ვერ გამოურკვევია ხეირიანად, ყოვლად შეუძლებელია. როგორც ეტყობა, ქ-ნ დავითაშვილს განსაზღვრულ ხასიათის როლების შესრულება ეხერხება. ძალიან კარგი იყო ქ-ნი დავითაშვილი პიესაში „მზის ამოსვლიამდე“ ხოლო სუსტობდა ქეთევანის და ხუთშაბათს კი ფრეიდენიუსის როლებში. კარგს იზამს ქ-ნი დავითაშვილი, თუ სხვა დროს აღარ გამოვა ხოლმე ისეთს როლებში, რომელთა შესრულებაც ვერ ეხერხება (არ შეიძლება რომ ამას თვითონაც არა გრძნობდეს კარგად), სამაგიეროდ მეტი ყურადღებით შეისწავლოს ის როლები, რომელთა შესრულებაც მას შესაძლებლად მიაჩნია. ბევრი საყურადღებო და საინტერესო პიესებია, და ჩვენთვის სასიამოვნო იქნება; თუ ქ-ნ დავითაშვილს ამ პიესებში ვნახავთ.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ტეხნიკის მხრით წარმოდგენა, განსაკუთრებით პირველი სურათი, ძალიან კარგად იყო მოწყობილი. ხალხი ბევრი დაესწრო. **Homo.**

—

P. S. პატარა შენიშვნა დრამატიულ საზოგადოების გამგეობას: პირველ მოქმედების დროს ფოიეში ერთავად ხმაურობა ისმოდა. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. მეორე, ფოიეში სასმელი წყალი არ არის. ყველას ხომ არა აქვს საშუალება რესტორანში გასვლისა. ამას გარდა თეატრში ხშირად დადის მოსწავლე-ახალგაზდობა, რომელთაც რესტორანში შესვლა აკრძალული აქვთ ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ფოიეში, რესტორანის გვერდით, სასმელი წყალი ყოველთვის იყოს ხოლმე. **Homo.**

—

**ჭიათურა.** 26 ენკენისთვეს ადგილობრივ სცენის მოყვარეებმა ითამაშეს ცაგარლის „რაც გინახავს ველარ ნახავ“. უნდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ წარმოდგენამ კარგად და მწყობრად ჩაიარა. ყველა თავის ალაგას იყო. კარგი იყო გიქუას როლში, ნუცუბიძე. შესაფერი ტანი, მიხვრა მოხვრა, როლის კარგად ცოდნა შთაბეჭდილებას უფრო აორკეცებდა. პირველად ვნახეთ ფიხხულას და მოურავის როლში ახალი სცენის მოყვარე დ. ბურჭულაძე, მისი თამაში თითქმის უნაკლულო იყო. და ეტყობოდა ძალ დატანება, იგი თავისუფლად თამაშობდა. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

3 ოქტომბერს დასდგეს ფსიხოლოგიური დრამა „შეცოდება“. ამ დრამამ ძალიან სუსტად ჩაიარა, რადგანაც როლები შეუფერებლად იყო განაწილებული. ამასთანავე სცენის მოყვარეებმა უნდა იცოდნენ, რომ ფსიხოლოგიური დრამა მათთვის ძალიან ძნელია სათამაშოდ. სამაგიეროდ, ვოდევილმა „დათვმა“ მწყობრიარად ჩაიარა. შესანიშნავი იყო ზაზა.

საუცხოვო იყო გვრიტიშვილიც. ქვრივი როლის უცოდინრობაში კოჭლობდა. საზოგადოდ, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

მადლობის ღირსნი არიან სცენის მოყვარენი რომ თავის საქმეს ერთგულათა და მუყაითად ეკიდებიან. **X.**

## განცხადებანი


**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—196

◀ მშობიარეთათვის ▶

**თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.**

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა ძასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—711-8)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**


**მატარებლების მიმოსვლა**

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, ხწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, ხწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, ხწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, ხწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |


ახალი საქონელი მუდამ იშოვება

**ა. ქ. ბუქსუშვილის** მაღაზიაში

[illegible]

ფასები ზომიერია. (40—103—7)

**შპალიერი**

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

**ძმ. ტარნოპოლების**

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (7—82—4)

**აგენტი ი. გ. ხალათიანი**

რეკლამებს, პუბლიკაციასა და განცხადებას

გკისრულობ ადგილობრივსა და რუსეთის სხვა ქალაქების გაზეთებსა და ჟურნალებში, ძლიერ შეღავათიანის პირობებით, **ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.** გკისრულობ აგრეთვე ყოველგვარ სტამბის საქმეს. დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. გთხოვთ სხვა აგენტებს არ დამადაროთ.

დროებითი ადრესი: გაზ. „Нов. рѣчь“-ის კანტორა, ტელეფ. № 20.

ყოველ დავალებას პირნათლად ვასრულებ. ყველა რეკლამებს თვითონვე ვადგენ.

**ძმათა ავსარქისოვების**

**ბაღსა და სანერგეში**

მოიპოვება საზღვარ-გარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილი.

კატალოგები იგზავნება მოთხოვნისათანავე უსასყიდლოდ.

მისამართი: სად. სკრა, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.

(15—55—10) **ავსარქისოვი**

ერთად ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზიაში**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

**ხიზილალა** ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია ძვინის ოჯრაგული** (სერგა) და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—1)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულმა ქალთა წრემ განიზრახა გამოსცეს ჩვენი ბელეტრისტის

**ეკ. გაბაშვილის თხზულებანი**

ერთ ტომად, აღსანიშნავად მისის ორმოცის წლის მწერლობ ასპარეზზედ მოღვაწეობისა. ამისათვის ქალთა წრემ გადასწყვიტა გამართოს **ხელის მოწერა ხსენებულს წიგნზედ**, რომელიც იქნება დაბეჭდილი კარგს ქაღალდზედ არა ნაკლებ 400-ის გვერდისა სურათით, ბიოგრაფიით და კიტა აბაშიძის კრიტიკული შენიშვნებით, ღირება **თითო წიგნი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.** ხელის მოწერა მიიღება შემდეგ პირებთან: ახალციხეში კ. გვარამაძესთან, ახალსენაკში ქ. ხოფერიასთან, ბორჯომში ვ. ყიფიანთან, ბათომში გ. ჟურულთან, ბაქოში მ. თაქთაქიშვილთან, სოფ. ახალქალაქში ექ. ვაშაკიძესთან, გორში ექ. ელიოზიშვილთან, ზუგდიდში ბ. პატარაიასთან, ქუთაისში ი. ბაქრაძესთან, კავკავში ს. კალანდარიშვილთან, მიხაილოვში ნინო ყიფიანთან, სიღნაღში ექ. ჯანდიერთან, სოხუმში კნეინა აჩაბაძესთან. თელავში ვას. კახიძესთან, ფოთში კ. გამყრელიძესთან, ყვირილაში დეკ. დ. ღამბაშიძესთან, ჭიათურაში ი. დეკანოზიშვილთან, ცხინვალში ნ. მაჭავარიანთან, ხონში ეფრ. ქიქინაძესთან, ხოლო ტფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. (6—118—2)




მოითხოვეთ

**სწორე და მკვიდრი საათები!**

**ნუ გამოეკიდებით იაფ ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ცრას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები ხამი ხახურავით «ს ე ც ს ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| | |
|---|---|
| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამშის ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Мецль N 53647). (25—15—5)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა კლდ-ეგერელი,**

ქუთაისში

განცხადებებსა და პრეისკურანტს უფასოდ ჰგზავნის. (2—116—2)

**ორი წყვილი კოხტა და მკვიდრი შევროს ტყავის**




მხოლოდ **ფეხსაცმელი** 6 მ. და 50 კაპ.

**1 წყვილი მამაკაცისა და 1 წყვილი ქალისა**

ბევრს ეს გასაოცრად ეჩვენება და უბრალო რეკლამად მიიჩნევს. ამ აზრის გასაბათილებლად ვაცხადებთ. რომ გადაუხდით 200 მან. ჯარიმას მას, ვინც დაგვიმტკიცებს, რომ აღნიშნული 2 წყვილი ფეხსაცმელი დანიშნულ ფასად არა ღირს. —მიუხედავად ამგვარ მცირე ფასისა, ჩვენი ფეხსაცმელი მზადდება უკანასკნელ მოდის მიხედვით და მკვიდრად შეკერილი საძირეებით.

საძირეები, საქუსლეები და სხვა საჭირო მასალა სულ ტყავისაა. ზემოთი პირი შეკრულია მკვიდრ შავ ბრჭყვიალა შევროს რბილი ტყავისა ღუკმებით და ზონრებით ფერად კარგი და მსუბუქი სახმარებლად. შენაკვეთის სწრაფად აღსასრულებლად ვთხოვ დაეშურნოთ შენაკვეთი გამოგზავნით და თან აღნიშნოთ ზომა ვერშოკებით ან და ნომერი ფეხსაცმელისა. გაგზავნა საფოსტო ტარიფით დამკვეთის ხარჯით. ფამზადმბისას დაუყოვნებლივ ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ.—ციმბირსა და შუა აზიის სამფლობელოში თუ 2 მანეთი ბე არ გამოიგზავნა (შეიძლება მარკებით) შენაკვეთი არ იქნება შესრულებული.

მსურველნი, რომელნიც მარტო ერთი წყვილის დაკვეთას ინებებენ ქალისას თუ კაცისას იხდიან 3 მ. 50 კაპ. ვთხოვთ ჩვენ ფეხსაცმელს ნუ აურევთ სხვა ფირმების ფეხსაცმელებთან, რომელნიც აცხადებენ 2 წყვილ ფეხსაცმელს 5 მანეთად და იაფადაც ყიდიან, რადგან მათ ფეხსაცმელს ქაღალდის საძირეები აქვს, არც ნაწერებია, მოუხეშავად შეკერილი და სრულიად უფასონო.

—✦ კორესპონდენცია რუსულს და გერმანულ ენებზე. ✦—

დაიკვეთეთ ამ ადრესით: Базаръ новостей. Варшава, Гранитная 5-я.

(Метцль и К-о N 55623) 3—8—1)